

განმარტებითი ბარათი

“საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ” საქართველოს კანონის პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

წარმოდგენილი კანონპროექტის შემუშავების აუცილებლობა გამოწვეულია „სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ კანონპროექტის მომზადებით. აღნიშნული კანონპროექტის თანახმად, პირის გარდაცვალების შესახებ განცხადებაზე ვალდებულ პირთა ჩამონათვალში პირდაპირ მიეთითება როგორც პათოლოგანატომიური საქმიანობის (კლინიკური პათოლოგიის) და სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის განმასხვრციელებელი დაწესებულების ხელმძღვანელების, ისე იმ პირების თაობაზე, რომელთაც გააჩნიათ პირის გარდაცვალების შესახებ ცნობის გაცემის უფლებამოსილება, მაგრამ არ იმყოფებიან შრომით ურთიერთობაში არცერთ ზემოაღნიშნულ დაწესებულებასთან.

ნორმატიული აქტების ურთიერთშესაბამისობაში მოყვანის მიზნით აუცილებელია შესაბამისი ცვლილების შეტანა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

კანონპროექტის მიზანია საქართველოს კანონით „სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის შესახებ“ პირის გარდაცვალების შესახებ სამედიცინო ცნობის გაცემის უფლებამოსილების მქონე პირთა მხრიდან დაკისრებული ვალდებულების შეუსრულებლობის თავიდან აცილება.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

წარმოდგენილი კანონპროექტის მიხედვით იცვლება 185¹ მუხლის რედაქცია. ახალი რედაქციის თანახმად, სამოქალაქო რეესტრის სააგენტოსთვის პირის გარდაცვალების შესახებ ინფორმაციის წარდგენის ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის

დაკისრებას პირის გარდაცვალების შესახებ სამედიცინო ცნობის გაცემის უფლებამოსილების მქონე ყველა პირისა და ორგანოსათვის.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებული აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ხარჯების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ მოახდენს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯებით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ მოახდენს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.დ) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობების, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

კანონპროექტის მიღების შედეგად გარდაცვალების შესახებ სამედიცინო ცნობის გაცემის უფლებამოსილების მქონე პირს/ორგანოს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოსთვის პირის გარდაცვალების შესახებ შეტყობინების ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში ადმინისტრაციული სახდელის სახით დაეკისრება ჯარიმა 500 ლარის ოდენობით.

ბ.ე) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი):

კანონპროექტით არ დგინდება რაიმე სახის გადასახადი ან მოსაკრებელი.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტის მიღებით არ წარმოიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

კანონპროექტის შემუშავებაში ამ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ორგანიზაციებს/დაწესებულებებს, ექსპერტებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.გ) კანონპროექტის ავტორი:

კანონპროექტის ავტორია საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი:

კანონპროექტის ინიციატორიები არიან საქართველოს პარლამენტის წევრები - ლაშა თორდია, კახაბერ ანჯაფარიძე, ზვიად კუკავა და ჩიორა თაქთაქიშვილი.